

ფურცელი-ჩანართი: პაციენტის ინფორმაცია
ნოლიპრელი® არგინინი
პერინდოპრილ არგინინი/ინდაპამიდი
აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები

პრეპარატის მიღების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ ეს ჩანართი ბოლომდე, რადგანაც ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- 1) შეინახეთ ეს ფურცელი-ჩანართი. ის შეიძლება თქვენ კიდევ დაგჭირდეთ.
- 2) თუ თქვენ გაგიჩნდათ დამატებითი შეკითხვები მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
- 3) ეს პრეპარატი გამოწერილია პირადად თქვენთვის. არ შეიძლება მისი გადაცემა სხვა პირებისთვის. ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ, იმის მიუხედავად, რომ მათი სიმპტომები შეიძლება ჰგავდეს თქვენსას.
- 4) თუ თქვენ აღნიშნავთ რაიმე სახის არასასურველ ეფექტებს, მათ შორის ისეთებს, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ამ ჩანართში, მიმართეთ თქვენს ექიმს, ფარმაცევტს ან მედღას. იხ. განყოფილება 4.

ეს ჩანართი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. რა არის ნოლიპრელი არგინინი და რა შემთხვევებში გამოიყენება
2. რა უნდა იცოდეთ ნოლიპრელი არგინინის მიღების დაწყებამდე
3. როგორ მიიღება ნოლიპრელი არგინინი
4. შესაძლო გვერდითი მოქმედება
5. როგორ ინახება ნოლიპრელი არგინინი
6. შეფუთვის შემცველობა და სხვა ინფორმაცია

1. რა არის ნოლიპრელი არგინინი და რა შემთხვევებში გამოიყენება

ნოლიპრელი არგინინი – ეს არის ორი აქტიური კომპონენტის, პერინდოპრილის და ინდაპამიდის კომბინაცია. ეს არის ჰიპოტენზიური პრეპარატი, ის გამოიყენება მომატებული არტერიული წნევის (ჰიპერტენზიის) სამკურნალოდ მოზრდილებში.

პერინდოპრილი მიეკუთვნება პრეპარატების კლასს, რომელსაც ეწოდება აგფ-ის ინჰიბიტორები. ის ავლენს სისხლძარღვებზე გამაფართოებელ ზეგავლენას რაც ამსუბუქებს სისხლის მოწოდებას. ინდაპამიდი წარმოადგენს დიურეზულ საშუალებას. დიურეზული საშუალებები ზრდიან შარდის მოცულობას, რომელიც გამოიწვევს თირკმელებით. თუმცა, ინდაპამიდი განსხვავდება სხვა დიურეზულეებისგან, რადგანაც ის მხოლოდ მცირედ ზრდის თირკმელებით გამოიშვებული შარდის მოცულობას. ყოველი აქტიური კომპონენტი ამცირებს არტერიულ წნევას და ისინი ერთად აკონტროლებენ არტერიულ წნევას.

2. რა უნდა იცოდეთ ნოლიპრელი არგინინის მიღების დაწყებამდე

რა შემთხვევებში არ შეიძლება ნოლიპრელი არგინინის გამოყენება:

- თუ თქვენ გაქვთ ალერგია პერინდოპრილზე, ნებისმიერ სხვა აგფ ინჰიბიტორზე, ინდაპამიდზე, რომელიმე სულფანილამიდზე ან მოცემული პრეპარატის ნებისმიერ კომპონენტზე (ჩამოთვლილია განყოფილებაში 6),
- თუ ადრე სხვა აგფ-ის ინჰიბიტორის მიღებისას ან სხვა ვითარებაში, თქვენ ან თქვენს რომელიმე ნათესავს გამოუვლინდა ისეთი სიმპტომები, როგორიც არის მსტვენავი სუნთქვა, სახის ან ენის შეშუპება, ინტენსიური ქავილი ან კანზე ჭარბი გამონაყარი (ანგიონევროზული შეშუპება),
- თუ თქვენ გაქვთ დიაბეტი ან თირკმლის დარღვეული ფუნქცია და თქვენ ღებულობთ არტერიული წნევის დამწვევ პრეპარატს, რომელიც შეიცავს ალისკირენს,
- თუ თქვენ გაქვთ ღვიძლის მძიმე დაავადება ან ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია (ტვინის დეგენერაციული დაავადება),
- თუ თქვენ გაქვთ თირკმლის მძიმე დაავადება, რომლის დროსაც შემცირებულია თირკმელებთან სისხლის მიდინება (თირკმლის არტერიის სტენოზი),
- თუ გადისხართ დიალიზს ან ჰემოფილტრაციის სხვა პროცედურებს. გამოყენებული აპარატიდან გამომდინარე შეიძლება, რომ ნოლიპრელი არგინინი აღმოჩნდეს თქვენთვის მიუღებელი,
- თუ თქვენ გაქვთ სისხლში კალიუმის დაბალი დონე,
- თუ თქვენ გაქვთ ეჭვი გულის არანამკურნალებ დეკომპენსირებულ უკმარისობაზე (წყლის სერიოზული შეკავება, გამწვანებული სუნთქვა),
- თუ თქვენ ხართ ორსულად და ვადა აჭარბებს 3 თვეს (სასურველია, რომ ნოლიპრელი არგინინს თავი აარიდოთ ორსულობის ადრეულ სტადიაზე – იხ. განყოფილება „ორსულობა“),
- თუ თქვენ იღებდით ან ამჟამად იღებთ საკუბიტრილს და ვალსარტანს - გულის უკმარისობის სამკურნალო საშუალებებს, რადგან იზრდება კვინკეს შეშუპების რისკი (კანქვეშა ქსოვილის სწრაფი შეშუპება, მაგ. ყელის არემი) (იხ. განყოფილებები „გაფრთხილებები და სიფრთხილის ზომები“ და „სხვა პრეპარატები და ნოლიპრელი არგინინი“).

განსაკუთრებული მითითებები და უსაფრთხოების ზომები

ნოლიპრელი არგინინის მიღებამდე გაიარეთ თქვენი მკურნალი ექიმის ან ფარმაცევტის კონსულტაცია:

- თუ გაქვთ აორტის სტენოზი (გულიდან გამომავალი მთავარი სისხლძარღვის შევიწროვება), ჰიპერტროფული კარდიომიოპათია (გულის კუნთის დაავადება) ან თირკმლის არტერიის სტენოზი (თირკმელების სისხლით მომმარაგებელი არტერიების შევიწროვება),
- თუ თქვენ გაქვთ გულის უკმარისობა, ან გულის სხვა დაავადება
- თუ თქვენ გაქვთ თირკმლის დაავადება ან გადიხართ დიალიზს,
- თუ თქვენ გაქვთ დარღვევები კუნთების მხრივ, მათ შორის ტკივილი კუნთებში, მტკივნეულობა ზეწოლისას, სისუსტე ან კრუნჩხვები,
- თუ თქვენ სისხლში ანომალურად მომატებული გაქვთ ჰორმონ ალდოსტერონის დონე (პირველადი ჰიპერალდოსტერონიზმი),
- თუ თქვენ გაწუხებთ თირკმლის დავადება,
- თუ გაგანიათ ღვიძლის ფუნქციის დარღვევა,
- თუ გაწუხებთ კოლაგენოზურ-სისხლძარღვოვანი დაავადება (კანის დაავადება), როგორც არის სისტემური წითელი მგლურა ან სკლეროდერმია,
- თუ გაქვთ ათეროსკლეროზი (არტერიების კედლის გამაგრება),
- თუ გაწუხებთ ჰიპერპარათირეოზი (ჰიპერაქტიული პარათირეოიდული ჯირკვალი),
- თუ გაწუხებთ პოდაგრა,
- თუ გაქვთ დიაბეტი,
- თუ იცავთ მარილის მცირე შემცველობის დიეტას ან ღებულობთ კალიუმის შემცველ მარილის შემცველებს,
- თუ ღებულობთ ლითიუმს ან კალიუმის შემნახველ პრეპარატებს (სპირონოლაქტონი, ტრიამტერენი), ან კალიუმის დანამატებს, რადგან ნოლიპრელი არგინინთან ერთად მათი ერთობლივი მიღება არ შეიძლება (იხ. „სხვა პრეპარატები და ნოლიპრელი არგინინი“),
- თუ ხართ ხანდაზმული ასაკის,
- თუ აღგენიშნებოდით ფოტომგრძობელობის რეაქციები,
- თუ აღგენიშნებოდით სერიოზული ალერგიული რეაქციები, სახის, ენის, პირის დრუსი, ენის, ყელის შეშუპებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ყლაპვის ან სუნქვის გაძნელება (ანგიონევროზული შეშუპება). ეს შეიძლება განვითარდეს მკურნალობის ნებისმიერ მომენტში. თუ თქვენ გივითარდებათ ასეთი სიმპტომები, პრეპარატის მიღება უნდა შეწყვიტოთ და დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმს.
- თუ თქვენ ღებულობთ არტერიული წნევის შემამცირებელ, ქვემოჩამოვლილ რომელიმე პრეპარატს:
- ანგიოტენზინ II-ის რეცეპტორის ბლოკატორს (არბ) (ასევე ცნობილია როგორც სარტანები, მაგალითად, ვალსარტანი, ტელმისარტანი, ირბესარტანი), განსაკუთრებით თუ თქვენ გაწუხებთ დიაბეტით გამოწვეული, თირკმლის ფუნქციის დარღვევა,
- ალისკირენი.
- თუ თქვენ განიცდით მხედველობის დაქვეითებას ან თვალბინების ტკივილს. ეს შეიძლება იყოს თვალის სისხლძარღვოვანი გარსში სითხის დაგროვების (ქორიოიდული გამონაჟონი) ან მომატებული თვალშიდა წნევა, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს ნოლიპრელი არგინინის მიღების მომენტიდან რამდენიმე საათიდან, კვირამდე. მკურნალობის გარეშე შესაძლებელია მხედველობის შეუქცევადი დაკარგვა. თუ თქვენ ადრე გქონდათ ალერგიული რეაქცია პენიცილინზე ან სულფონამიდზე, თქვენ შეიძლება დაექვემდებაროთ ქორიოიდული გამონაჟონის უფრო მაღალ რისკს.

თქვენმა ექიმმა შეიძლება ჩაატაროს თირკმლის ფუნქციის, არტერიული წნევის და სისხლში ელექტროლიტების შემცველობის (მაგალითად, კალიუმის) შემცველობის რეგულარული მონიტორინგი. ასევე იხ. ინფორმაცია, რომელიც მოყვანილია განყოფილებაში „რა შემთხვევაში არ შეიძლება ნოლიპრელი არგინინის მიღება“.

- თუ თქვენ ხართ აფრიკული წარმოშობის, რადგანაც შესაძლოა გაგანდეთ ანგიონევროზული შეშუპების უფრო მაღალი რისკი და ეს სამკურნალო პრეპარატი შეიძლება ნაკლებად ეფექტურად ამცირებდეს თქვენს არტერიულ წნევას, ვიდრე არააფრიკული წარმოშობის პაციენტებში,
- თუ თქვენ გადიხართ დიალიზს მაღალი გამტარობის მემბრანებით,
- თუ თქვენ ღებულობთ ქვემოჩამოვლილი პრეპარატებიდან რომელიმეს, ანგიონევროზული შეშუპების რისკი შეიძლება მოიმატოს:
- რაცეკადოტრილი (გამოიყენება დიარეის სამკურნალოდ),
- სიროლიმუსი, ევეროლიმუსი, ტემსიროლიმუსი და სხვა პრეპარატები, რომლებიც მიეკუთვნება ეგრედწოდებულ, უჯრედებში რაპამიციინის სამიზნის ინჰიბიტორების კლასს (გამოიყენება გადანერგილი ორგანოების მოცილების საპრევენციოდ და ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ).
- საკუბიტრილი (გამოდის ფიქსირებული კომბინაციით ვალსარტანთან), რომელიც გამოიყენება გულის ქრონიკული უკმარისობის სამკურნალოდ.
- ლინაგლიპტინი, საქსაგლიპტინი, სიტაგლიპტინი, ვილდაგლიპტინი და სხვა პრეპარატები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეგრედწოდებულ გლიპტინების კლასს (გამოიყენება დიაბეტის სამკურნალოდ).

ანგიონევროზული შეშუპება

არის შეტყობინებები ანგიონევროზული შეშუპების (სერიოზული ალერგიული რეაქციები სახის, ტუჩების, ენის ან ყელის შეშუპებით, გაძნელებული ყლაპვით და სუნთქვით) შემთხვევებზე, პაციენტებში, რომლებიც ღებულობენ აგფ-ის ინჰიბიტორებს, ნოლიპრელი არგინინის ჩათვლით. ეს რეაქციები შეიძლება განვითარდეს

თერაპიის დროს, ნებისმიერ მომენტში. თუ თქვენ გივითარდებით აღნიშნული სიმპტომები, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ ნოლიპრელი არგინინის მიღება და მიმართოთ ექიმს. იხ. ასევე განყოფილება 4.

თქვენ უნდა გააფრთხილოთ თქვენი ექიმი თუ ფიქრობთ, რომ ხართ ორსულად (ან გეგმავთ ორსულობას). ნოლიპრელი არგინინის მიღება რეკომენდებული არ არის ორსულობის ადრეულ სტადიაზე. პრეპარატის მიღება არ უნდა მოხდეს 3 თვეზე მეტი ვადის ორსულობისას, რადგანაც ამან შეიძლება სეროზული ზიანი მიაყენოს ბაჭის ჯანმრთელობას (იხ. განყოფილება „ორსულობა და ლაქტაცია“).

როდესაც თქვენ ღებულობთ ნოლიპრელი არგინინს თქვენ ასევე უნდა აცნობოთ მკურნალ ექიმს ან სამედიცინო პერსონალს შემდეგი:

- თუ გელოდებით ანესთეზია ან/და სეროზული ქირურგიული ოპერაცია,
- თუ თქვენ ბოლო დროს აღგენიშნებოდით დიარეა, ღებინება ან ორგანიზმის გაუწყლოება,
- თუ თქვენთვის აუცილებელია დიალიზი ან გადიხართ დსლპ აფერეზის კურსს (სისხლიდან ქოლესტერინის აპარატული გამოძევება),
- თუ აპირებთ დესენსიტიზაციას, რომელმაც უნდა შეამციროს ალერგიული რეაქციები ფუტკრებისა და კრაზანების ნაკბენებზე,
- თუ იტარებთ სამედიცინო გამოკვლევას, რომლისთვისაც საჭიროა იოდშემცველი რენტგენოკონტრასტული ნივთიერებების შეყვანა (ნივთიერებები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან შინაგანი ორგანოების, მაგალითად, თირკმელების ან კუჭის გამოკვლევას რენტგენის სხივების დახმარებით).
- თუ თქვენ შეგეცვალათ მხედველობა ან ნოლიპრელი არგინინის მიღების დროს გაგინვითარდეთ ტკივილი ერთ ან ორივე თვალში. ეს შეიძლება იყოს იმის ნიშანი, რომ გივითარდებით გლაუკომა, მომატებული თვალშიდა წნევა. თქვენ უნდა შეწყვიტოთ მკურნალობა და მიმართოთ ექიმს.

სპორტსმენებმა უნდა იცოდნენ, რომ ნოლიპრელი არგინინი შეიცავს აქტიურ ნივთიერებას (ინდაპამიდი), რომელმაც შეიძლება მოგვეცეს დადებითი რეაქცია დოპინგ-კონტროლის ჩატარების დროს.

ბავშვები და მოზარდები

ნოლიპრელი არგინინის დანიშნა ბავშვებში და მოზარდებში არ შეიძლება.

სხვა პრეპარატები და ნოლიპრელი არგინინი

აცნობეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს, თუ ღებულობთ სხვა პრეპარატებს, ღებულობდით უახლოეს წარსულში ან შეიძლება დაიწყოთ მიღება.

მოერიდეთ ნოლიპრელი არგინინის ერთდროულ გამოყენებას შემდეგ პრეპარატებთან:

- ლითიუმი (გამოიყენება მანიის ან დეპრესიის სამკურნალოდ),
- ალისკირენი (მომატებული არტერიული წნევის სამკურნალო პრეპარატი), თუ თქვენ არ გაქვთ შაქრიანი დიაბეტი ან თირკმლის ფუნქციის დარღვევა,
- კალიუმის შემნახველი დიურეზულიები (მაგალითად, ტრიამტერენი, ამილორიდი), კალიუმის მარილები და ორგანიზმში კალიუმის დონის გამზრდელი სხვა პრეპარატები (მაგალითად, ჰეპარინი წამალი რომელიც გამოიყენება სისხლის გასათხელებლად, თრომბის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით, ტრიმეტოპრიმი და კო-ტრიმოქსაზოლი, ასევე ცნობილია როგორც ტრიმეტოპრიმი/სულფომეტოქსაზოლი, რომელიც გამოიყენება ბაქტერიებით გამოწვეული ინფექციების სამკურნალოდ),
- ესტრამუსტინი (გამოიყენება კიბოს სამკურნალოდ),
- მომატებული არტერიული წნევის სამკურნალო სხვა პრეპარატები: ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორები და ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკერები.

ნოლიპრელი არგინინის მკურნალობაზე შეიძლება იმოქმედოს სხვა პრეპარატების გამოყენებამ. თქვენმა ექიმმა შეიძლება შეცვალოს დოზა ან/და მიიღოს სხვა უსაფრთხოების ზომები. აუცილებლად აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს თუ ღებულობთ შემდეგ პრეპარატებს, ვინაიდან, მათი მიღებისას აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვა:

- პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება არტერიული წნევის სამკურნალოდ, მათ შორის ანგიოტენზინ II-ის რეცეპტორის ბლოკატორები (არბ) ან ალისკირენი (ასევე იხ. ინფორმაცია განყოფილებაში „რა შემთხვევაში არ შეიძლება ნოლიპრელი არგინინის მიღება“ და „განსაკუთრებული მითითებები და უსაფრთხოების ზომები“) ან დიურეზულიები (სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც ზრდიან თირკმელების მიერ გამოშვებული შარდის რაოდენობას),
- კალიუმის შემნახველი პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება გულის უკმარისობის დროს: ეპლერენონი და სპირონოლაქტონი, დოზებით 12.5მგ-დან 50მგ-მდე დღეში,
- პრეპარატები, რომლებიც უფრო ხშირად გამოიყენება დიარეის სამკურნალოდ (რაცეკადოტრილი) ან ტრანსპლანტირებული ორგანოების მოცილების საპროფილაქტიკო (სიროლიმუსი, ევეროლიმუსი, ტემსიროლიმუსი და სხვა პრეპარატები, რომლებიც მიეკუთვნება ეგრედწოდებულ, უჯრედებში რაპამციინის სამიზნის ინჰიბიტორების კლასს) იხ. განყოფილება „გაფრთხილება და უსაფრთხოების ზომები“,
- საკუბუტრილი და ვალსარტანი (გამოიყენება გულის ქრონიკული უკმარისობის სამკურნალოდ) იხ. განყოფილებაში „არ მიიღოთ ნოლიპრელი არგინინი“ და „გაფრთხილება და უსაფრთხოების ზომები“,
- საანესთეზიო პრეპარატები,
- იოდის შემცველი რენტგენოკონტრასტული ნივთიერებები,

- ანტიბიოტიკები ბაქტერიული ინფექციების სამკურნალოდ (მაგალითად, მოქსიფლოქსაცინი, სპარფლოქსაცინი, საინექციო ერითრომიცინი),
- მეთადონი (გამოიყენება ნარკომანიის სამკურნალოდ),
- პროკაინამიდი (არარეგულარული გულისცემის რითმის სამკურნალოდ),
- ალოპურინოლი (პოდაგრის სამკურნალოდ),
- ანტიპსიქოტიკები პრეპარატები ალერგიული რეაქციების სამკურნალოდ, როგორცაა თივის ცხელება (მაგალითად მიზოლასტინი, ტერფენადინი, ასტემიზოლი),
- კორტიკოსტეროიდები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა მდგომარეობების სამკურნალოდ, მათ შორის მძიმე ასთმის ან რევმატიული ართრიტის დროს,
- იმუნოდეპრესიული პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება აუტოიმუნური დარღვევების სამკურნალოდ ან ტრანსპლანტაციური ოპერაციების შემდეგ ტრანსპლანტატის მოცილების თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, ციკლოსპორინი, ტაკროლიმუსი),
- გალოფანტრინი (გამოიყენება მაღარიის ზოგიერთი ფორმის სამკურნალოდ),
- პენტამიდინი (გამოიყენება პნევმონიის სამკურნალოდ),
- საინექციო ოქროს პრეპარატები (გამოიყენება რევმატიული პოლიართრიტის სამკურნალოდ)
- ვინკამინი (გამოიყენება ხანდაზმულებში, კოგნიტური დარღვევების სიმპტომური მკურნალობისთვის, მესსიერების დაკარგვის ჩათვლით),
- ბეპრიდილი (გამოიყენება სტენოკარდიის სამკურნალოდ),
- პრეპარატები გულისცემის რითმის დადგევის სამკურნალოდ (მაგალითად, ქინიდინი, ჰიდროქინიდინი, დისოპირამიდი, ამიოდარონი, სოტალოლი, იბუტილიდი, დოფეტილიდი, დიგიტალისი, ბრეტილიუმი),
- ციზაპრიდი, დიფემანილი (გამოიყენება კუჭ-ნაწლავის მხრივ დარღვევების სამკურნალოდ),
- დიგოქსინი ან სხვა საგულე გლიკოზიდები (გულის დაავადებების სამკურნალოდ),
- ბაკლოფენი (კუნთების რიგიდობის სამკურნალოდ, რომელიც ვითარდება ისეთი დაავადებებისას, როგორც არის გაფანტული სკლეროზი),
- დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები, როგორც არის ინსულინი, მეტფორმინი ან გლიპტინები,
- კალციუმი, კალციუმის დანამატების ჩათვლით,
- მასტიმულირებელი საფაღარათე საშუალებები, (მაგალითად, სინამაქი),
- ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები (მაგალითად, იბუპროფენი) და სალიცილატების მაღალი დოზები (აცეტილსალიცილის მჟავა, ნივთიერება, რომელიც გვხვდება ბევრ მედიკამენტში, რომლებიც გამოიყენება ტკივილის შესამსუბუქებლად და ტემპერატურის დასაწევად და ასევე თრომბის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით),
- ამფოტერიცინი B (ინექცია) (სერიოზული სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ),
- ფსიქიკური დარღვევების სამკურნალო პრეპარატები, როგორც არის დეპრესია, შფოთვა, შიზოფრენია და სხვ. (მაგალითად, ტრიციკლური ანტიდეპრესანტები, ნეიროლეფსიური საშუალებები (როგორც არის ამისულპრიდი, სულპირიდი, სულტოპრიდი, ტიაპრიდი, ჰალოპერიდოლი, დროპერიდოლი)),
- ტეტრაკოზაკტიდი (კრონის დაავადების სამკურნალოდ),
- ტრიმეტოპრიმი (ინფექციის სამკურნალოდ),
- სისხლძარღვების გამაფართოებელი პრეპარატები, ნიტრატების ჩათვლით (პრეპარატები, რომლებიც აფართოებენ სისხლძარღვებს),
- პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება შემცირებული არტერიული წნევის, შოკის ან ასთმის სამკურნალოდ (მაგალითად, ეფედრინი, ნორადრენალინი ან ადრენალინი).

ნოლიპრელი არგინინის მიღება საკვებთან და სასმელთან ერთად
 ნოლიპრელი არგინინის მიღება უმჯობესია ჭამის წინ.

ორსულობა და ლაქტაცია

თუ თქვენ ხართ ორსულად ან კვებაზე ბავშვს ძუძუთი, ფიქრობთ, რომ შეიძლება იყოს ორსულად ან გეგმავთ ორსულობას, ამ პრეპარატის მიღების დაწყებამდე რჩევა ჰკითხეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ორსულობა

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ხართ ორსულად (ან გეგმავთ ორსულობას) თქვენ უნდა გააფრთხილოთ თქვენი ექიმი.

როგორც წესი, ექიმი გირჩევთ ნოლიპრელი არგინინის მიღების შეწყვეტას, ჯერ კიდევ ორსულობამდე ან ორსულობის ფაქტის დადასტურებისთანავე და მის ნაცვლად დაგინიშნავთ სხვა პრეპარატს. ნოლიპრელი არგინინის მიღება რეკომენდებული არ არის ორსულობის ადრეულ სტადიაზე. ამ პრეპარატის მიღება არ შეიძლება 3 თვეზე მეტი ვადის ორსულობისას, რადგანაც ამან შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობას.

ლაქტაცია

ნოლიპრელი არგინინის მიღება არ არის რეკომენდებული ძუძუთი კვების დროს. თუ კვებაზე ძუძუთი ან გეგმავთ ძუძუთი კვებას, დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს ექიმს. დაუყოვნებლივ დაუკავშირდით თქვენს მკურნალ ექიმს.

ავტოტრანსპორტის და მექანიზმების მართვა:

ნოლიპრელი არგინინი არ მოქმედებს ყურადღებაზე, მაგრამ ზოგიერთ პაციენტში დაქვეითებული არტერიული წნევის გამო შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა რეაქციები, მაგალითად, თავბრუსხვევა ან სისუსტე. შედეგად, შეიძლება დაირღვეს ავტორეგულაციის და სხვა მექანიზმების მართვის უნარი.

ნოლიპრელი არგინინი შეიცავს ლაქტოზის მონოჰიდრატს.

თუ თქვენ ექიმმა გითხრათ, რომ გაგაჩნიათ ზოგიერთი სახის შაქრის აუტანლობა, მაშინ ამ პრეპარატის მიღებამდე საჭიროა თქვენი ექიმის კონსულტაცია.

ნოლიპრელი არგინინი შეიცავს ნატრიუმს

ნოლიპრელი არგინინის ყოველი ტაბლეტი შეიცავს 1მმოლზე ნაკლებ ნატრიუმს (23მგ), ანუ ფაქტიურად არ შეიცავს.

3. როგორ მიიღება ნოლიპრელი არგინინი

ნოლიპრელი არგინინის მიღებისას ყოველთვის მკაცრად დაცავით ექიმის ან ფარმაცევტის მითითებები. თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ პრეპარატის მიღების სისწორეში, უნდა მიმართოთ ექიმს ან ფარმაცევტს. რეკომენდებული საწყისი დოზაა - 1 ტაბლეტი დღეში. თქვენმა ექიმმა შეიძლება გადაწყვიტოს დოზის გაზრდა დღეში 2 ტაბლეტამდე ან შეცვალოს მიღების რეჟიმი, თუ თქვენ დარღვეული გაქვთ თირკმლის ფუნქცია. ტაბლეტების მიღება უმჯობესია დილით, ჭამამდე. ტაბლეტი გადაყლაპეთ ჭიქა წყლის დაყოფებით.

გამყოფი ხაზი განკუთვნილი არ არის ტაბლეტის დასაყოფად.

თუ თქვენ მიიღებთ ნოლიპრელი არგინინის რეკომენდებულზე მეტი დოზა:

თუ თქვენ მიიღებთ ტაბლეტების ჭარბი რაოდენობა, დაუკავშირდით სასწრაფო დახმარების უახლოეს პუნქტს ან დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის შესახებ თქვენს ექიმს. ჭარბი დოზირების ყველაზე მეტად შესაძლო ეფექტია არტერიული წნევის დაქვეითება. თუ თქვენ დაგივარდათ წნევა (გულისრევის, დებინების, შემცირებული არტერიული წნევის, კრუნჩხვების, თავბრუსხვევის, ძილიანობის, ცნობიერების დაბინდვის და თირკმელების მიერ გამოთქმული შარდის რაოდენობის შეცვლის თანხლებით), დაწვეით და აწიეთ ფეხები, ეს დაგეხმარებათ მდგომარეობის შემსუბუქებაში.

თუ თქვენ დაგავიწყდათ ნოლიპრელი არგინინის მიღება

მნიშვნელოვანია პრეპარატის ყოველდღიური მიღება, რამდენადაც მიღების რეგულარულობა მკურნალობას ხდის უფრო ეფექტურს. ამის მიუხედავად, თუ თქვენ დაგავიწყდათ ნოლიპრელი არგინინის დოზის მიღება, შემდეგი დოზა მიიღეთ ჩვეულებრივ დროს. არ გააორმაგოთ მომდევნო დოზა.

თუ თქვენ წყვეტთ ნოლიპრელი არგინინის მიღებას

იმის გამო, რომ მაღალი არტერიული წნევის მკურნალობა ჩვეულებრივ გრძელდება მთელი ცხოვრება, თქვენ პრეპარატის მიღების შეწყვეტამდე უნდა გაიაროთ ექიმის კონსულტაცია.

თუ თქვენ ამ პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებით გაგინდათ დამატებითი კითხვები, მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

4. შესაძლო გვერდითი მოქმედება

ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენმა სამკურნალო პრეპარატმა, ნოლიპრელ არგინინმაც, თუმცა, არა ყველა პაციენტში, შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი ეფექტები.

დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ სამკურნალო პრეპარატის მიღება და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, თუ განვითარდა შემდეგი გვერდითი ეფექტებიდან ერთ-ერთი, რომელიც შეიძლება იყოს სერიოზული:

- ძლიერი თავბრუსხვევა ან გონების დაკარგვა, დაბალი არტერიული წნევის გამო (გავრცელებული - ვითარდება 10 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში),
- ბრონქოსპაზმი (გულმკერდის არეში შებოჭილობის შეგრძნება, მსტვენავი სუნთქვა და ქოშინი) (არაგავრცელებული - ვითარდება 100 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში), სახის, ტუჩების, პირის ღრუს, ენის ან ყელის შეშუპება, სუნთქვის გაძნელება (ანგიონევროზული შეშუპება) (იხ. განყოფილება 2 „განსაკუთრებული მითითებები და უსაფრთხოების ზომები“) (არაგავრცელებული - ვითარდება 100 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში),
- კანის მწვავე რეაქციები, რომელიც მოიცავს კანის ინტენსიურ გამონაყარს, კანის გაწითლებას მთელი სხეულის ზედაპირზე, ძლიერ ქავილს, ბუშტუკების გაჩენას, კანის აქერღვას და შეშუპებას, ლორწოვანი გარსების ანთებას (სტივენს-ჯონსონის სინდრომი) ან სხვა ალერგიულ რეაქციებს (ძალიან იშვიათი - ვითარდება 10000 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში),
- გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ დარღვევები (უჩვეულოდ ჩქარი ან არარეგულარული გულისცემა, სტენოკარდია (ტკივილები გულმკერდის, ყბის და ზურგის არეში, გამოწვეული ფიზიკური დატვირთვით), გულის შეტევა (ძალიან იშვიათი - ვითარდება 10000 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში),
- სისუსტე ხელებში ან ფეხებში ან მეტყველების პრობლემები, რაც შეიძლება იყოს შესაძლო ინსულტის ნიშანი (ძალიან იშვიათი - ვითარდება 10000 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში),

- კუჭქვეშა ჯირკვლის ანთება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ტკივილი მუცლის და ზურგის არეში, შეუძლოდ ყოფნის თანხლებით (ძალიან იშვიათი - ვითარდება 10000 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში),
- კანის და თვალის სკლერების გაყვითლება (სიყვითლე), რაც შეიძლება იყოს ჰეპატიტის ნიშანი (ძალიან იშვიათი - ვითარდება 10000 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში),
- სიცოცხლისთვის საშიში ართიმია (სისშირე უცნობია),
- თავის ტვინის დაავადება, გამოწვეული ღვიძლის ფუნქციის დარღვევით (ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია) (სისშირე უცნობია).
- კუნთების სისუსტე, კრუნჩხვები, მტკივნეულობა ზეწოლისას ან კუნთების ტკივილი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამავე დროს თავს ცუდად გრძნობთ ან გაქვთ მომატებული ტემპერატურა; ეს შეიძლება გამოწვეული იყოს კუნთური ქსოვილის ანომალური დაშლით (სისშირე უცნობია).

გამოვლენის სისშირის კლების მიხედვით, შეიძლება შეიმჩნეოდეს შემდეგი გვერდითი მოქმედება:

- გავრცელებული (ვითარდება 10 ადამიანიდან 1-ზე ნაკლებში): სისხლში კალიუმის დაბალი დონე, კანის რეაქციები, ალერგიული და ასთმური რეაქციების მიმართ წინასწარგანწყობილ პაციენტებში, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ვერტიგო, კიდურებში ჩხვლეტის შეგრძნება, მხედველობის დარღვევა, ტინიტუსი (შუილი ყურებში), ხველა, ქოშინი (დისპნოე), საჭმლის მონელების დარღვევა (გულისრევა, ღებინება, ტკივილი მუცლის არეში, გემოვნების შეგრძნების დარღვევა, დისპეფსია ან მონელების გაძნელება, დიარეა, ყაბზობა), ალერგიული რეაქციები (როგორც არის კანის გამონაყარი, ქავილი), კუნთების კრუნჩხვები, დაღლილობის შეგრძნება.
- არაგავრცელებული (შეიძლება განვითარდეს 100 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში): განწყობის ცვალებადობა, დეპრესია, ძილის დარღვევა, ჭინჭრის ციება, პურპურა (კანზე წითელი წერტილოვანი გამონაყარი), კანზე კეროვანი ბუშტუკების გაჩენა, თირკმლის ფუნქციის დარღვევა, იმპოტენცია (ერქციის მიღწევის ან შენარჩუნების შეუძლებლობა), მომატებული ოფლიანობა, ეოზინოფილების ჭარბი რაოდენობა (სისხლის თეთრი სხეულების ერთ-ერთი ტიპი). ლაბორატორიული პარამეტრების ცვლილება: სისხლში კალიუმის მაღალი დონე, რომელიც უკუქცევადია მიღების შეწყვეტის შემდეგ, სისხლში ნატრიუმის დაბალი დონე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუწყლოება და არტერიული წნევის შემცირება, ძილიანობა, გონების დაკარგვა, გულისცემის შეგრძნება, ტაქიკარდია (გულისცემის გაზვიადება), ჰიპოგლიკემია (სისხლში შაქრის ძალიან დაბალი დონე) დიაბეტის მქონე პაციენტების შემთხვევაში, ვასკულიტი (სისხლძარღვების ანთება), პირის ღრუს სიმშრალე, ფოტომგრძობელობის რეაქციები (კანის მომატებული მგრძობელობა მზეზე), ართრალგია (ტკივილები სახსრებში), მიალგია (ტკივილები კუნთებში), ტკივილი გულმკერდის არეში, შეუძლოდ ყოფნა, პერიფერიული შეშუპება, ცხელება, სისხლში შარდოვანას და კრეატინინის მომატებული დონე, დაცემა.
- იშვიათი (ვითარდება 1000 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებში): მდგომარეობის გაუარესება ფსორიაზის დროს, ლაბორატორიული პარამეტრების შეცვლა: სისხლში ქლორიდების დაბალი დონე, სისხლში მაგნიუმის დაბალი დონე, ღვიძლის ფერმენტების დონის მომატება, სისხლის შრატში ბილირუბინის მაღალი დონე, დაღლილობა, სახეზე სისხლის მოვარდნები, შარდის გამოყოფის შემცირება ან შეწყვეტა, თირკმლის მწვავე უკმარისობა. მუქი ფერის შარდი, გულისრევა ან ღებინება, კუნთების კრუნჩხვები, ცნობიერების დაბინდვა და კრუნჩხვები. ეს ყველაფერი შეიძლება იყოს მდგომარეობის სიმპტომები, რომელსაც ეწოდება ადჰ ასს (ანტიდიურეზული ჰორმონის არაადეკვატური სეკრეციის სინდრომი).
- ძალიან იშვიათი (ვითარდება 10000 ადამიანიდან 1-ზე ნაკლებში): ცნობიერების აღრევა, ეოზინოფილური პნევმონია (პნევმონიის იშვიათი ტიპი), რინიტი (გაგუდული ცხვირი ან ცხვირიდან გამონადენი), თირკმელების მძიმე დაავადება, სისხლის შემადგენლობის დარღვევები, როგორც არის ლეიკოციტების და ერითროციტების რაოდენობის შემცირება, შემცირებული ჰემოგლობინი, თრომბოციტების შემცირებული რაოდენობა, სისხლში კალციუმის მაღალი დონე, ღვიძლის ფუნქციის დარღვევა.
- სისშირე უცნობია (არსებული მონაცემების საფუძველზე შეფასება შეუძლებელია): ნორმიდან გადახრა ელექტროკარდიოგრამაზე (ეკგ), ზოგიერთი ლაბორატორიული პარამეტრის ცვლილება: შარდმჟავას რაოდენობის მომატება და სისხლში გლუკოზის შემცველობის მომატება, ახლომხედველობა (მიოპია), არამკაფიო მხედველობა, მხედველობის დარღვევა, კანის ფერის შეცვლა. ხელის და ფეხის თითების დაბუჟება და ტკივილი (რეინოს სინდრომი), მხედველობის დაქვეითება ან თვალის ტკივილი, მაღალი წნევის გამო (თვალის სისხლძარღვოვანი გარსში სითხის დაგროვების შესაძლო ნიშანი (ქორიოდალური გამონაჟონი) ან მწვავე დახურულკუთხოვანი გლაუკომა). თუ თქვენ გაწუხებთ სისტემური წითელი მგლურა (კოლაგენური დაავადების ტიპი), თქვენი მდგომარეობა შესაძლოა გაუარესდეს.

შეიძლება განვითარდეს დარღვევები სისხლის, თირკმელების, ღვიძლის ან კუჭქვეშა ჯირკვლის მხრივ და ლაბორატორიული პარამეტრების (სისხლის ანალიზებში) ცვლილებები. თქვენი მდგომარეობის საკონტოლოდ ექიმმა შეიძლება დაგინიშნოთ სისხლის ანალიზი.

ასეთი სიმპტომების განვითარებისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

შეტყობინებები გვერდითი ეფექტების შესახებ

თუ თქვენ გაგინვითარდებათ რაიმე სახის გვერდითი ეფექტები, შეატყობინეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. ეს ეხება ნებისმიერ შესაძლო გვერდით ეფექტს, რომელიც ჩამოთვლილი არ არის ან

ფურცელ-ჩანართში. გვერდით ეფექტებზე შეტყობინებით, თქვენ ეხმარებით ამ სამკურნალო საშუალების უსაფრთხოების პროფილზე მეტი ინფორმაციის შეგროვებას.

5. როგორ ინახება ნოლიპრელი არგინინი

ინახება ბაეშეებისთვის უხილავ და მიუწვდომელ ადგილზე. პრეპარატი ინახება არა უმეტეს 30°C ტემპერატურაზე.

შენახვის ვადა: 36 თვე

არ გამოიყენოთ ნოლიპრელი არგინინი მუყაოს კოლოფზე და კონტეინერზე მითითებული შენახვის ვადის გასვლის შემდეგ. შენახვის მითითებისას იგულისხმება მითითებული თვის ბოლო დღე.

შეფუთვა შეინახეთ მჭიდროდ დახურული, არ დაუშვათ ნესტის მოხვედრა.

არ შეიძლება წამლების ჩაგდება გამდინარე წყლებში ან საყოფაცხოვრებო ნაგავში. შეეკითხეთ ფარმაცევტს, თუ როგორ განთავისუფლდეთ წამლებისგან, რომლებიც თქვენ აღარ გჭირდებათ. ეს ზომები მიმართულია გარემოს დაცვისკენ.

6. შეფუთვის შემცველობა და სხვა ინფორმაცია

რას შეიცავს ნოლიპრელი არგინინი

- აქტიური ნივთიერებები: პერინდოპრილ არგინინი და ინდაპამიდი. აპკიანი გარსით დაფარული ერთი ტაბლეტი შეიცავს 2.5მგ პერინდოპრილ არგინინს (რაც შეესაბამება 1.6975მგ პერინდოპრილს) და 0.625მგ ინდაპამიდს.

- ტაბლეტის ცენტრალურ ნაწილში შემავალი სხვა კომპონენტები: ლაქტოზის მონოჰიდრატი, მაგნიუმის სტეარატი (E470B), მალტოდექსტრინი, სილიციუმის კოლოიდური უწყლო დიოქსიდი (E551), ნატრიუმის სახამებელგლიკოლატი (A ტიპი); აპკიანი გარსი: გლიცერინი (E422), ჰიპრომელოზა (E464), მაკროგოლი 6000, მაგნიუმის სტეარატი (E470B), ტიტანის დიოქსიდი (E171).

როგორ გამოიყურება ნოლიპრელი არგინინი და შეფუთვის შემცველობა

ნოლიპრელი არგინინი – თეთრი, წაგრძელებული ფორმის აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტი, ორივე მხარეზე გამყოფი ხაზით. აპკიანი გარსით დაფარული ერთი ტაბლეტი შეიცავს 2.5მგ პერინდოპრილ არგინინს და 0.625მგ ინდაპამიდს.

ტაბლეტები გამოდის კონტეინერებში, რომელიც შეიცავს 30 ტაბლეტს.

გაცემის წესი:

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი II, გაიცემა ფორმა N^o3 რეცეპტით

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი და მწარმოებელი

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი

Les Laboratoires Servier (ლე ლაბორატუარ სერვიე)
50, rue Carnot
92284 Suresnes cedex
France (საფრანგეთი)

მწარმოებელი:

Servier (Ireland) Industries Ltd
Gorey Road, Arklow, Y14 E284, Ireland

Les Laboratoires Servier Industrie
905, route de Saran 45520 Gidy – France

ჩანართის ბოლო გადახედვის თარიღი:

მარტი 2023

თარგმანი შეესაბამება ორიგინალს, მთარგმნელი: